თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №3

თბილისი,

10 აგვისტო, 2016

სხდომა დაიწყო 18.00 საათზე

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:

- კომისიის თავმჯდომარე – საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი;
- კომისიის თავმჯდომარის მოადგილე – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილი;
- კომისიის მდივანი – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ტაბატაძე;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ცოტნე ყავლაშვილი;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე თამაზ მარსაგიშვილი;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ზაზა სოფრომაძე;
- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხათუნა თოთლაძე;
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე ნუკრი გელაშვილი;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე ეკა სეფაშვილი;
- საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე გიორგი გაბიტაშვილი;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური – ადმინისტრაციის იურიდიული სამმართველოს უფროსი ბექა ზეგარდელი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსი მამუკა ჯაყელი.

კომისიის სამდივნოს წევრები:

- ნათია ჩირიკაშვილი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი;
- მარიამ სხილაძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი;
- გიგა დაიაური – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მრჩეველი.

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

- ცენტრალური საარჩევნო კომისია – გიორგი კალანდარიშვილი;
- სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო – მამუკა სამხარაძე;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენელი ნინო მინდიაშვილი.

კომისიის სხდომაზე მოწვეული სხვა პირები:

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – თინათინ ბოკუჩავა;
- „ზვიადის გზა – უფლის სახელით“ – მიხეილ (გელა) სალუაშვილი;
- „ეროვნული ერთიანობის პარტია“ – თამარ ღვინაძე;
- „მემარცხენე ალიანსი“ – პაატა ჯიბლაძე;
- „ქართული ოცნება“ – ნინო გოგუაძე;
- „დავით თევზაძე – საქართველოს მშვიდობისათვის“ – შალვა კუპატაძე;
- „ხათუნა მაჭავარიანი – ქალთა პარტია“ – თამარ მუსხელიშვილი;
- „ახალი მემარჯვენეები“ – იოსებ ბორცვაძე;
- „უსუფაშვილი – რესპუბლიკელები“ – თამარ კორძაია;
- „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“ – ზაზა ვეკუა.

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი“ (IFES) – ლაშა შაყულაშვილი;
- ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო – ხათუნა ჭითანავა;
- ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში – ირაკლი ქობალია;
- USAID – ხათუნა კუნჭულია;
- „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი“ (NDI) – მარიამ ციციშვილი, თამარა სართანია, ნატაშა როტჩაილდი;
- „ევროპის საბჭო“ (COE) – მიხეილ კეჭაყმაძე;
- „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი“ (IRI) – ქეთი ჩადუნელი.

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) – ნინო რიჟამაძე;

– „საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი“ – დავით ლილუაშვილი;
– „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ – ლევან ნატროშვილი;
– „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ – რატი თინიკაშვილი;
– „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე;
– „სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი“ – ვლადიმერ ბოჟაძე;
– „ახალი თაობა – დემოკრატიული საქართველოსთვის“ – ტატიანა (ნატალია) ხოხიაშვილი;
– „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი“ (CDD) – მარინა ბენდელიანი;
– „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ – გიორგი კაკუბავა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 18:00 საათზე და შეამოწმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა. სხდომის თავმჯდომარემ დაადგინა, რომ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 29 ივნისის №140 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, რადგანაც სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1) **სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“** მიერ შემაჯამებელი პრეზენტაციის წარდგენა ამომრჩეველთა ერთიანი სიების შედგენისა და მიმდინარე პროექტების შესახებ.

2) **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“** მიერ წარმოდგენილი განცხადებების განხილვა:

2.1 №28 დუშეთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის სავარაუდო უკანონო ქმედებებზე, კერძოდ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დავალებით კომისიის წევრებისა და მათი ოჯახის წევრების შესახებ ინფორმაციის არაკანონიერად მოძიების თაობაზე;

2.2 ქ. თბილისის სამგორის რაიონის გამგეობის ინიციატივით 31 ივლისს სამგორის ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდებისთვის ფშავში, მდინარე არაგვზე, გამართულ ღონისძიებასთან (ჯომარდობა – 2016) დაკავშირებით;

2.3 მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელ ალექსანდრე გრიგალავას, საკრებულოს წევრ ალექსი გაბისონიას და ა(ა)იპ „მარტვილის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის“ ხელმძღვანელ დავით სურმავას მხრიდან „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო შეხვედრებში მონაწილეობისა და პარტიული საქმიანობის თაობაზე;

2.4 შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ არსებული ხელშეკრულების უსაფუძვლო შეწყვეტის, ტარიფების გაზრდის შესახებ; ადგილობრივი, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების და მათდამი დაქვემდებარებული უწყებების მიერ საარჩევნო პერიოდში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისათვის“ საოფისე ფართებზე ხელშეკრულების უსაფუძვლოდ შეწყვეტის ფაქტებზე.

3) **„ირაკლი ალასანია – თავისუფალი დემოკრატების“** მიერ წარმოდგენილი განცხადებების განხილვა:

3.1 ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის მხრიდან სავარაუდო ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტების თაობაზე, კერძოდ, თვითმმართველობის ორგანოების მიერ შესრულებულ და დაგეგმილ საქმიანობაზე საზოგადოებაში ინფორმაციის გავრცელებასა და პოპულარიზაციასთან დაკავშირებით;

3.2 „ქართული ოცნების“ მხრიდან წინასაარჩევნოდ პირობითი მსჯავრის გაუქმების და ამნისტიის საარჩევნო ხმების სანაცვლოდ შესაძლო დაპირების თაობაზე.

4) **„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“** განცხადების განხილვა ტელევიზიებით და სოციალურ ქსელებში გავრცელებული ვიდეორგოლებისა და სხვა სახის ვიზუალური მასალის თაობაზე, სადაც მოთხრობილია მთავრობის ან სხვა საჯარო უწყებების მიღწევების თუ სამომავლოდ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ (საყოველთაო ინტერნეტიზაცია, საყოველთაო ჯანდაცვა, მიწის რეგისტრაციის გამარტივება, რთველი – 2016, 198 დევნილისთვის საცხოვრებელი სახლების გადაცემა, 1681 დასახლების სარგებლობა სოციალური და საგადასახადო შეღავათებით).

5) სხვადასხვა.

უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი თეა წულუკიანი, მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და შესთავაზა, სხდომა გაეხსნათ სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ პროექტის პრეზენტაციით, რომელიც შეეხებოდა ამომრჩეველთა ერთიანი სიების სრულყოფას. ამისათვის მან სიტყვა გადასცა სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ თავმჯდომარის მოადგილეს, ბატონ მამუკა სამხარაძეს. პროექტის პრეზენტაციისას ბატონმა მამუკამ წარმოადგინა ბიომეტრიულ და არაბიომეტრიულ პასპორტებთან დაკავშირებული დინამიკა, რომელიც მოიცავდა 2012-დან 2016 წლამდე პერიოდს. მისი თქმით, 2 819 291 არაბიომეტრიული დოკუმენტიდან დარჩენილია 1 139 221, რაც გულისხმობს, რომ ზემოაღნიშნულ პერიოდში 1 000 800-მდე დოკუმენტი გაიცა მათზე, ვინც საარჩევნო სიებში შედის. ბატონი მამუკას თქმით, დადებითი დინამიკა განაპირობა იუსტიციის მინისტრის ინიციატივებმა, რაც

გულისხმობდა დოკუმენტების შეღავათებით ან საერთოდ უფასოდ გაცემას. პრეზენტაციაში წარმოდგენილი მონაცემების თანახმად, ამგვარი შეღავათებით გაცემულია 1 095 183 დოკუმენტი.

ბატონმა მამუკამ ისაუბრა პროექტის 5 ძირითად ამოცანაზე: 1) ფოტოსურათების შედარება და გაორებული ჩანაწერების აღმოფხვრა; 2) გარდაცვალების შესახებ ფაქტების მოძიება; 3) ფოტოსურათების სრულყოფა; 4) შეუსაბამობა სხვადასხვა მონაცემში; 5) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

ამის შემდეგ მან პროექტის ყოველ ამოცანასა და მათთან დაკავშირებულ საკითხებზე დაწვრილებით ისაუბრა და სხდომაზე დამსწრეთ გააცნო ინფორმაცია სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" მიერ აღნიშნული მიზნების მისაღწევად გატარებული ღონისძიებების შესახებ.

ქალბატონმა თეა წულუკიანმა დაამატა და ხაზი გაუსვა იმ შედეგს, რაც იქნა მიღწეული სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" მიერ გატარებული პროექტის მეშვეობით 2012 -დან 2016 წლამდე და აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე საარჩევნო სიაში 2 400 000-მდე მოქალაქეა, რომელთა მონაცემებიც უტყუარია. მისი განცხადებით, პროექტი გრძელდება და, შესაბამისად, მიმდინარეობს სამუშაოები საარჩევნო სიის კიდევ მეტად დასახვეწად.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა სხდომის მონაწილეებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება წარმოდგენილ პრეზენტაციასთან დაკავშირებით. ამ კუთხით საარჩევნო გაერთიანების – „ზვიადის გზა – უფლის სახელით" – წარმომადგენელმა, ბატონმა მიხეილ (გელა) სალუაშვილმა, რომლის თქმითაც, ქუჩების სახელდების ცვლილების შემთხვევაში, საარჩევნო კომისიებში პარტიების წარმომადგენლების სიების წარდგენისას შესაძლოა, პრობლემა შეექმნათ, რადგან სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მიეწოდება განახლებული სიები განახლებული მონაცემებით (მათ შორის, მისამართები), ხოლო სიაში პარტიის იმ წევრთა არსებობა, რომლებიც ფლობენ ძველ დოკუმენტებს რეგისტრაციის ადგილის ძველი დასახელებით, შესაძლოა, სიის რეგისტრაციის ხარვეზის გამომწვევი მიზეზი გახდეს. მან მოითხოვა ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის იმგვარი რეკომენდაციის მიცემა, რომელიც აღმოფხვრიდა ქუჩების სახელდების ცვლილებით გამოწვეულ შესაძლო პრობლემას.

ბატონმა მამუკა სამხარაძემ ბატონი მიხეილ (გელა) სალუაშვილის საპასუხოდ აღნიშნა, რომ ქუჩების სახელდების ცვლილებასთან ერთად მიმდინარეობს აქტიური შრომატევადი სამუშაოები სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" მონაცემთა ბაზაში ცვლილებების შეტანის კუთხით. ამ თემას გამოეხმაურა ცენტრალური საარჩევნო კომისიის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი, ბატონი გიორგი კალანდარიშვილი. მისი თქმით, ცენტრალური საარჩევნო კომისია მისამართების მონაცემების მხრივ დამოკიდებულია სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" მიერ გადაცემულ მონაცემებზე და სიების განხილვისას სწორედ ამ უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციით ხელმძღვანელობს.

აღნიშნულ საკითხზე სიტყვა ითხოვა კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, ბატონმა შალვა ხუციშვილმა, და მისამართების ცვლილებასთან დაკავშირებით კომისიას შესთავაზა,

რეკომენდაციის სახით თვითმმართველობებისათვის მიემართათ, არჩევნების დასრულებამდე თავი შეეკავებინათ ქუჩების სახელდების შეცვლისა და გადანომვრისაგან. კომისიის წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი ინიციატივა.

პრეზენტაციასთან დაკავშირებით სიტყვით გამოვიდა ბატონი ვლადიმერ ბოჟაძე („სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი"). მან ხაზი გაუსვა სააგენტოს მიერ განხორციელებული პროექტის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ აუცილებელია იმ მოქალაქეთა რაოდენობის ოფიციალურად გამოცხადება, რომელთა საარჩევნო სიაში დაფიქსირებაც სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ მოხერხდა, კერძოდ, უმისამართოებისა და რეგისტრაციიდან მოხსნილების, რათა თავიდან იქნეს აცილებული შემდგომი შესაძლო პროვოკაციები.

საკითხთან მიმართებით აღნიშნა, რომ ამომრჩეველთა დამატებითი სიის ფორმირების მიზნით უწყებამ სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" მიმართა რეგისტრაციის პრობლემის მქონე მოქალაქეთა სიის მოწოდების მოთხოვნით. სააგენტოსთან ჩართულობით იგეგმება რიგი ღონისძიებების გატარება, რაც მსგავსი კატეგორიის მოქალაქეებს საარჩევნო ადმინისტრაციისათვის მიმართვის შემთხვევაში და დადგენილი პროცედურების გავლის შემდგომ მიეცემათ 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის საშუალება.

კომისიის თავმჯდომარე დამსწრე პირთა უმრავლესობასთან ერთად მიესალმა გამოთქმულ ინიციატივას და აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა, დროულად და აქტიურად მომხდარიყო მოსახლეობის ინფორმირებულობა.

კომისიამ განიხილა დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხი, რომელიც შეეხებოდა „ირაკლი ალასანია – თავისუფალი დემოკრატების" მიერ წარმოდგენილ განცხადებას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის მხრიდან სავარაუდო ადმინისტრაციული რესურსის არამართლზომიერი გამოყენების ფაქტებზე. ვინაიდან სხდომას არ ესწრებოდა განცხადებების ავტორი პარტიის წარმომადგენელი, გადაწყდა, კომისიას მათ გარეშე მოესმინა უწყებებიდან მიღებული ინფორმაცია.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტთან დაკავშირებული ინფორმაციისთვის სიტყვა გადაეცა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილეს, ქალბატონ ეკა სეფაშვილს. მისი თქმით, რამდენადაც ზუგდიდში მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე შედარებით დაბალია, მუნიციპალიტეტი პერიოდულად აწყობს შეხვედრებს მოსახლეობასთან განხორციელებული და დაგეგმილი პროექტების თაობაზე მეტი ინფორმირების მიზნით. მისი განცხადებით, მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე, საბიუჯეტო სახსრების პარტიული ინტერესებისათვის გამოყენება, ამ შემთხვევაში, არ დასტურდება.

დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხზე კომისიამ მოისმინა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" წარმომადგენლის, ბატონი ლევან ნატროშვილის, განცხადება, რომელმაც ისაუბრა მისი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაზე სახელმწიფო უწყებების კომერციულ და

სოციალურ რეკლამებთან დაკავშირებით, რაც შუქდება სხვადასხვა ტელეარხის ეთერით ან/და ვრცელდება სოციალური ქსელების საშუალებით. მისი განცხადებით, სახელმწიფო უწყებების მიერ წინასაარჩევნო პერიოდში დაფინანსებული რეკლამები შესაძლოა, ამომრჩევლის მიერ აღქმულ იქნეს მმართველი პარტიის რეკლამად. როგორც მან აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ ამ რეკლამებში არ არის მითითებული საარჩევნო სუბიექტის ნომერი ან სიმბოლიკა, შინაარსობრივად მმართველი პარტიის და სახელმწიფო უწყებების რეკლამებში ბევრი რამ ემთხვევა ერთმანეთს. მისი თქმით, ძნიშვნელოვანია, განახლდეს უწყებათაშორისი კომისიის 2013 წლის რეკომენდაცია, რომელიც ეხება სახელმწიფო უწყებების მიერ საარჩევნო პერიოდში მსგავსი ტიპის რეკლამებისგან თავშეკავებას, და დაფინანსდეს მხოლოდ სოციალური რეკლამები.

კომისიის თავმჯდომარის განცხადებით, აუცილებელია, გაიმიჯნოს ერთმანეთისგან სახელმწიფო უწყებები და კონკრეტული პარტიები; სახელმწიფო უწყებების მიერ დაფინანსებული ყველა რეკლამის შეჩერება არ იქნება მიზანშეწონილი. მან მაგალითად მოიყვანა მიწის რეგისტრაციის პროცედურების გამარტივებასთან დაკავშირებით საინფორმაციო ხასიათის რეკლამა და განმარტა, რომ აღნიშნულმა რეკლამამ მოქალაქეებს გაუმარტივა მიწის რეგისტრაციის პროცესი, შედეგად კი, დღეის მდგომარეობით, ამ მომსახურებით 9000-მდე მოქალაქემ ისარგებლა და დაირეგისტრირა მიწა. ბატონი ლევან ნატროშვილის განცხადებით, მან ეს კლიპი ყველაზე ნაკლებად იგულისხმა, როდესაც საკითხი წამოჭრა. როგორც ქალბატონმა თეა წულუკიანმა აღნიშნა, მსგავსი შინაარსის რეკლამების გაშვებასთან დაკავშირებით არსებობს ფილტრი უწყებებში და კონკრეტული მაგალითების საფუძველზე შესაძლებელია, ითქვას, რომ აღნიშნული ფილტრი მუშაობს ეფექტურად. მან იქვე დასძინა, რომ მთავრობა ვერ შეაჩერებს მუშაობას, ასეთი ტიპის რეკლამები კი, თუკი მათში მმართველი პარტიის პროპაგანდა არ არის, დასაშვებია, ამარტივებს მთავრობის საქმიანობას და მოქალაქეებსაც უმარტივებს სახელმწიფოსთან ურთიერთობას.

ბატონი ლევან ნატროშვილის პოზიციას არ დაეთანხმა „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიის" წარმომადგენელი, ბატონი გრიგოლ გაგნიძე. როგორც მან განაცხადა, ამ რეკლამებში რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედება არ იკვეთება და მათი საშუალებით მოქალაქეებს მიეწოდებათ მხოლოდ ინფორმაცია, რა გაკეთდა სახელმწიფოსგან და რისი გაკეთება იგეგმება მომავალში.

რეკლამებთან დაკავშირებული საკითხების განხილვის შემდეგ კომისიამ მოისმინა უწყებებიდან წარმოდგენილი ინფორმაცია დღის წესრიგით განსაზღვრული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" განცხადებებთან დაკავშირებით.

პირველი საკითხი შეეხო №28 დუშეთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის სავარაუდო უკანონო ქმედებებს, რაც გამოიხატებოდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დავალებით კომისიის წევრებისა და მათი ოჯახის წევრების შესახებ პერსონალური ინფორმაციის შესაძლო არაკანონიერად მოძიებით, რომელიც უსაფრთხოების სამსახურების მხრიდან ზეწოლით ხორციელდებოდა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლის განცხადებით, საქმეს სწავლობს შიდა აუდიტის სამსახური და შედეგები

წარმოდგენილი იქნება წარმოების დასრულებისთანავე. ამასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროკურატურის ზედამხედველობით გამოკითხულ იქნა კომისიის უკლებლივ ყველა წევრი. ფაქტი დადასტურდა, რომ მსგავსი ტიპის ინფორმაცია მოითხოვა კომისიის თავმჯდომარემ, მაგრამ კომისიის წევრებს ეს არ უქმნიდათ პრობლემას და არც რაიმე სახის პრეტენზია გააჩნდათ საოლქო კომისიის თავმჯდომარის მიმართ, რაც არც გამოძიების დაწყების საფუძველი იყო.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლის, ქალბატონი თინათინ ბოკუჩავას, განცხადებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზეც ვალდებული იყო, დაეწყო შიდა მოკვლევა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელმა, ბატონმა ბექა ზეგარდელმა, აღნიშნა, რომ მეტი კონკრეტიკის შედეგად შესაძლებელი იქნებოდა შესაბამისი ზომების მიღება, ამ ინფორმაციის საფუძველზე კი მისი უწყების ყველა თანამშრომელზე დისციპლინური დევნის დაწყება პრაქტიკაში შეუძლებელი იყო.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მეორე განცხადებაზე, რომელიც შეეხებოდა თბილისის სამგორის რაიონის გამგეობის ინიციატივით 31 ივლისს ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის გამართულ ღონისძიებას (ჯომარდობა - 2016), კომისიას ინფორმაცია მიაწოდა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ. წარმოდგენილი ინფორმაციით, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის №32-127 დადგენილების თანახმად, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებებისთვის სამგორის რაიონში გამოყოფილ იქნა გარკვეული თანხა. პროგრამის მიზანია რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეებისათვის სხვადასხვა სპორტულ-კულტურული ღონისძიების ორგანიზება და ხელშეწყობა, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების გამართვით მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება. როგორც აღინიშნა, ეს ღონისძიება 2016 წლის ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში განხორციელდა კანონმდებლობის სრული დაცვით და არსებული მასალებით სამგორის რაიონის გამგეობის მხრიდან ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტი არ დადასტურდა. საკითხს გამოეხმაურა და დაადასტურა ზემომოყვანილი ინფორმაცია „ქართული ოცნების" წარმომადგენელმა ნინო გოგუაძემ, რომელიც, ამავე დროს, თბილისის საკრებულოს წევრიც არის.

ქალბატონი თინათინ ბოკუჩავას განცხადებით, მეტი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, კარგი იქნებოდა, წარმოდგენილიყო დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც იყო გაწერილი ღონისძიებების ჩამონათვალი. კომისიის თავმჯდომარის დავალებით თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის №32-127 დადგენილება სამდივნოს მიერ სხდომის დასრულებისთანავე გაეგზავნა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას".

ქალბატონმა თეა წულუკიანმა ისაუბრა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" განცხადებაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელ ალექსანდრე გრიგალავას, საკრებულოს წევრ ალექსი გაბისონიას და ა(ა)იპ „მარტვილის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის" ხელმძღვანელ დავით სურმავას მხრიდან „ქართული ოცნების" წინასაარჩევნო შეხვედრებში მონაწილეობასა და პარტიულ

საქმიანობასთან დაკავშირებით. კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ გამგებელსაც და საკრებულოს წევრსაც აქვთ უფლება, ჩაერთონ პოლიტიკურ აქტივობაში, და ეს უკვე არაერთგზის ხაზგასმით აღინიშნა კომისიის მუშაობის პერიოდში. რაც შეეხება სკოლის დირექტორის საკითხს, სამდივნოსთვის მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ღონისძიებაზე ყოფნისას იგი სარგებლობდა შესვენების პერიოდით. ასევე, საკითხს სწავლობს უფლებამოსილი ორგანო – ცენტრალური საარჩევნო კომისია – და საბოლოო ინფორმაცია საქმის მასალების შესწავლის შემდეგ გახდება ცნობილი.

დღის წესრიგის თანახმად, კომისიამ განიხილა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" განცხადება შპს „საქართველოს ფოსტის" მიერ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან" არსებული ხელშეკრულების შეწყვეტის და ტარიფების გაზრდის საკითხთან დაკავშირებით. კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ, წარმოდგენილი ინფორმაციით, სასამართლოს გადაწყვეტილებით „საქართველოს ფოსტას" დაევალა, ძველი ხელშეკრულებით დადგენილი ტარიფებით მომსახურებოდა მოსარჩელეს, რათა პოლიტიკურ ორგანიზაციას წინასაარჩევნო პერიოდში ხელი არ შეშლოდა. ქალბატონმა თეა წულუკიანმა ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ ეს არის ისტორიული მოვლენა და სასამართლო რეფორმის შედეგი, როდესაც მოსამართლეები დამოუკიდებლად იღებენ ოპოზიციური პარტიის სასარგებლო გადაწყვეტილებას და ასაბუთებენ მას.

კომისიის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ „საქართველოს ფოსტის" მიერ მიმდინარე წელს ხელშეკრულების შეწყვეტა და ახალი ტარიფების შეთავაზება მოხდა ყველა მსხვილი მომხმარებლისთვის (საერთო სასამართლოების დეპარტამენტი; სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო; იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა, აღსრულების ეროვნული ბიურო, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საპატრულო პოლიცია, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ცენტრალური საარჩევნო კომისია, პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება", პარტია „მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის", ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატი მურმან დუმბაძე და სხვები) და რომ ეს არ იყო მხოლოდ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიმართ განხორციელებული ქმედება.

როგორც კომისიის თავმჯდომარემ „საქართველოს ფოსტის" მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებსა და სასამართლოს გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით განაცხადა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" ამ ეტაპზე იყენებს ფოსტის მომსახურებას ძველი ტარიფებით და ეს საკითხი შესაძლებელია მოგვარებულად ჩაითვალოს. სასამართლოს მიერ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის" საფოსტო მომსახურების ძველი ტარიფების ძალაში დატოვება გააპროტესტეს და უკმაყოფილება გამოხატეს მიხეილ (გელა) სალუაშვილმა („ზვიადის გზა – უფლის სახელით") და პაატა ჯიბლაძემ („მემარცხენე ალიანსი"). მათი განცხადებით, სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით სხვა პარტიები არათანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და მოითხოვეს უწყებათაშორისი კომისიის მხრიდან შესაბამისი რეაგირება.

„საქართველოს ფოსტის" მიერ დაწესებულ ტარიფებთან დაკავშირებით ქალბატონმა თეა წულუკიანმა დამსწრე პარტიებს სთხოვა, მომავალი სხდომისთვის წარმოედგინათ „საქართველოს

ფოსტასა“ და მათ შორის დადებული ხელშეკრულებების ასლები, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი იქნებოდა დეტალურად განხილვა, აქვთ თუ არა სხვა პარტიებს, როგორც ეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შემთხვევაშია, კორპორატიული მომსახურება, თუ ვინ რამდენს იხდის ფოსტის ამგვარი სერვისისთვის და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებოდა გადაწყვეტილება ამ მიმართულებით კომისიის მიერ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა სხდომაზე მყოფ პირებს, დღის წესრიგით განსაზღვრული ბოლო საკითხის თანახმად, ხომ არ სურდათ, წარმოედგინათ სხვა დამატებითი ინფორმაცია წინასაარჩევნო პერიოდთან დაკავშირებით. სიტყვა ითხოვა „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ წევრმა, ბატონმა ზაზა ვეკუამ. მან აღნიშნა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ბატონი არჩილ თალაკვაძე, წარდგენილ იქნა „ქართული ოცნების“ მაჟორიტარ კანდიდატად ოზურგეთის მუნიციპალიტეტში და ის მონაწილეობას იღებდა ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსებულ ღონისძიებაში, სადაც ეწეოდა აგიტაციას. ბატონმა ზაზამ ხაზი გაუსვა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შემთხვევას საარჩევნო კანონმდებლობის შესაძლო დარღვევის კუთხით და მოუწოდა კომისიას რეაგირებისკენ.

კომისიის თავმჯდომარის განცხადებით, ეს საკითხი მედიამონიტორინგის შედეგად რეაგირებული და გადაგზავნილი იყო კომისიის სამდივნოს მხრიდან შესაბამის უწყებებში. როგორც ქალბატონმა ნინო გოგუაძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, ბატონი არჩილ თალაკვაძე დღემდე იკავებდა პოლიტიკური თანამდებობის პირის პოზიციას (შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე) და ზემოხსენებულ სახალხო დღესასწაულს (გომისმთობას) იგი ესწრებოდა როგორც ხელისუფლების წარმომადგენელი და არა როგორც პარტიის კანდიდატი. ამასთან, სიტყვით გამოსვლის პროცესში არ იყო გამოყენებული პარტიულობის აღმნიშვნელი არანაირი ნიშანი თუ მოწოდება. შესაბამისად, მისი თქმით, რაიმე სახის დარღვევა არ ფიქსირდებოდა.

როგორც კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, ეს შემთხვევა შესაძლოა, განხილულ იქნეს როგორც კანონმდებლობის ხარვეზი. შეიძლება თავად ბატონმა არჩილმა სიტყვით გამოსვლისას დაიცვა ყველა არსებული წესი, მაგრამ მისი კანდიდატად დასახელების შემდგომ შესაძლებელია, იგი საზოგადოების მიერ აღქმულ იქნეს კანდიდატად და არა - საჯარო მოხელედ. მისი თქმით, სამომავლოდ კანონმდებლობა ამ კუთხით აუცილებლად საჭიროებს დახვეწას.

საკითხზე კომენტარი გააკეთა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ბატონმა შალვა ხუციშვილმა, და ხაზი გაუსვა, რომ ბატონ არჩილს საარჩევნო პროცესში ჩართულობასთან დაკავშირებით აკისრია კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები და აღნიშნა, რომ ეს საკითხი დამატებით იქნებოდა შესწავლილი სამინისტროს მიერ, რის შემდეგაც წარმოადგენდნენ სრულყოფილ პოზიციას.

კომისიამ, აგრეთვე, განიხილა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ უწყებათაშორისი კომისიის სხდომის დღეს შემოტანილი წერილი, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე საოლქო საარჩევნო

კომისიებს დაეგზავნა ინსტრუქცია ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლებისთვის, ასევე, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლებისათვის ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ მინიჭებული უფლებების შეზღუდვის მიზნით. მსგავს დოკუმენტებს საოლქო საარჩევნო კომისიები სავალდებულო ძალის მქონე დირექტივად მიიჩნევენ და ბრმად ასრულებენ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მითითებებს, დაქვემდებარებისა და მათზე უკანონო სამართლებრივი რეპრესიების განხორციელების, ასევე, უსამართლოდ დისციპლინურ დევნასა და დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შიშით.

ზემოთქმულზე ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენელმა, ბატონმა გიორგი კალანდარიშვილმა, განაცხადა, რომ საოლქო საარჩევნო კომისიებს დაეგზავნათ კანონიდან ამონარიდები, რომლებიც შეიცავდა განსაკუთრებულ შემთხვევებში და, ზოგადად, საოლქო კომისიის წევრებისა და დამკვირვებლების ქცევის წესებსა და ნორმებს. ეს კი გამოწვეული იყო საარჩევნო უბნებზე რამდენიმე ორგანიზაციის დამკვირვებლის მხრიდან განხორციელებული არასათანადო ქმედებებით, რაც უკვე სისტემატურ ხასიათს იღებდა. რაც შეხება საოლქო კომისიის წევრებზე ზეწოლის ფაქტებს, მან მიმართა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელს, მიეწოდებინა კონკრეტული გვარები, რის შემდეგაც აუცილებლად ჩაატარებდნენ შესაბამის მოკვლევას.

კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა ბატონ გიორგი კალანდარიშვილს, უახლოეს დღეებში წარმოედგინა სამდივნოსთვის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ საოლქო კომისიებისთვის გადაგზავნილი კანონის ამონარიდებით შედგენილი დირექტივების მიწერილობები, რაზეც ბატონმა გიორგიმ თანხმობა განაცხადა.

ამის შემდეგ სხდომაზე ბატონმა მიხეილ (გელა) სალუაშვილმა („ზვიადის გზა – უფლის სახელით“) პლაკატების გაკვრის თემასთან დაკავშირებით 2016 წლის 27 ივლისის სხდომაზე გამოცემული რეკომენდაციების უფრო მეტად ეფექტურად ამოქმედების მიზნით სთხოვა კომისიას, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობების მიერ გამოცემულიყო ანალოგიური ხასიათის განკარგულებები თუ დადგენილებები, რაც ადგილობრივი ზედამხედველობის სამსახურების მიერ სახელმძღვანელოდ იქნებოდა გამოყენებული.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტუქტურის მინისტრის მოადგილის, ქალბატონი ეკა სეფაშვილის, განცხადებით, უკლებლივ ყველა ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს დაეგზავნა კანონებიდან ამონარიდი საჯარო მოხელეების უფლება-მოვალეობების შესახებ და შესაბამისი დადგენილებების/განკარგულებების გამოცემის თაობაზე წერილი უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციებთან ერთად. როგორც მან აღნიშნა, ძირითად მუნიციპალიტეტებში უკვე მიღებულია დადგენილებები/განკარგულებები, რომლებიც ითვალისწინებს რეკომენდაციით განსაზღვრულ საკითხებს და ადგენს შესაბამის რეგულაციებს.

სხდომის დასასრულ, კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს მობრძანებისთვის და მომდევნო სხდომის თარიღად გამოაცხადა 2016 წლის 24 აგვისტო, ოთხშაბათი, 18:00 საათი.

სხდომაზე წამოჭრილ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით თავიანთი პოზიციები, ასევე, დააფიქსირეს შემდეგი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა:

- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – თინათინ ბოკუჩავა;
- „ზვიადის გზა – უფლის სახელით“ – მიხეილ (გელა) სალუაშვილი;
- „მემარცხენე ალიანსი“ – პაატა ჯიბლაძე;
- „ქართული ოცნება“ – ნინო გოგუაძე;
- „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“ – ზაზა ვეკუა.

სიტყვით გამოვიდნენ შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები:

- „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“ – დანიელ დავითაშვილი;
- „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე;
- „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ – ლევან ნატროშვილი;
- „სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი“ – ვლადიმერ ბოჟაძე.

სხდომაზე გამართული დისკუსიის შეჯამების შედეგად კომისიამ შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაცია:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაცია

(2016 წლის 10 აგვისტოს სხდომა)

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიას თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის,
აკისრია რა პასუხისმგებლობა, ხელი შეუწყოს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების გამჭვირვალე და სამართლიან გარემოში ჩატარებას,
რეკომენდაციით მიმართავს:

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს:

წინასაარჩევნო პერიოდში ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში პარტიების მიერ წარდგენილი სიების წარმომადგენლებისა თუ დამკვირვებლების რეგისტრაციისას ხარვეზების თავიდან ასაცილებლად

არჩევნების შედეგების შეჯამებამდე თავი შეიკავონ არსებული გეოგრაფიული ობიექტების, მათი კომპლექსებისა და ნაწილების სახელდებისაგან.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს:

გეოგრაფიული ობიექტების, მათი კომპლექსებისა და ნაწილების სახელდების აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში, უმოკლეს ვადებში განახორციელონ ნუმერაცია.

ასევე, თავი შეიკავონ, გარდა განსაკუთრებული საჭიროებისა, გეოგრაფიული ობიექტების, მათი კომპლექსებისა და ნაწილების გადანომვრისგან.

სხდომა დასრულდა 20:30 საათზე.

კომისიის თავმჯდომარე:

კომისიის მდივანი: